ხელიდან გაშვებული მოგება

მოსკოვი. 30 ივლისი.

“დინამოს” სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” თანაკლუბელთა გუნდები.

მატჩი დაიწყო მოსკოველთა საკმაოდ ხანგრძლივი შეტევით, მაგრამ მათი კომბინაციები იშლებოდა სტუმრების საჯარიმო მოედნის სიახლოვეს.

შემდგომში თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში. მე–15 წუთზე მელაშვილმა გადასცა ბურთი ღოღობერიძეს. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ბელიაევმა, მაგრამ ბურთს მიუსწრო გაგნიძემ და უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

თბილისელთა იერიშები სულ უფრო და უფრო მძლავრდებოდა. 30–ე წუთზე კომბინაცია იამანიძე–მელაშვილი–იამანიძე დამთავრდა მეორე გოლით მასპინძელთა კარში – 2:0.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა მინდორზე შეიცვალა. მოსკოველებმა საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა და ურინმა მე–7 წუთზე გაიტანა პირველი საპასუხო გოლი – 1:2. ცოტა ხანში მარცხენა შუამარბი ფედოსოვი კარგად გავიდა მცველებს შორის და გაათანაბრა ანგარიში – 2:2.

მატჩის დამთავრებას აკლდა 12 წუთი, როცა ურინმა კარგად გამოიყენა რამიშვილის შეცდომა და გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც მოსკოვის “დინამოს” მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 3:2.

“ლელო”, 3 აგვისტო, 1958 წ.